

---

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი**

ბრიგოლ ფანცულაია

**სოციალური მდგომარეობა საქართველოში ..... 2**

ბიორბი ბარბაქაძე

**საქართველოს სადაზღვევო სისტემა ..... 24**

---

# სოციალური მდგომარეობა საქართველოში

■ გრიგოლ ფანცულაია  
ანა ჩიბუხაშვილი

სოციალური სფერო საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი ეკონომიკური რეფორმების გზის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც ამ გზაზე მდგარი ყველა სხვა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალურ საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უნდა ექციროს.

პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის მეტად ძნელია რეფორმების სანყის ეტაპზე სოციალური სფეროს წარმატებაზე ლაპარაკი, რადგან ისინი იმ სახელმწიფოების მემკვიდრეები არიან, სადაც სოციალური უზრუნველყოფა განსაკუთრებულ დონეზე იყო აყვანილი და ხალხი მიეჩნეოდა მაღალ პენსიებს, ხელფასებს, დასაქმების აბსოლუტურ დონეს, უფასო ან პრაქტიკულად უფასო მომსახურებას და ა.შ. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ როგორი ქვეყნის მემკვიდრეც არ უნდა იყო, რვა წლის არსებობის მანძილზე იმაზე ბევრად მეტის მიღწევა შეიძლება ქვეყნისათვის პრიორიტეტულად აღიარებულ სფეროში, ვიდრე ეს ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე ურთულესმა პოლიტიკურმა და სოციალურ ეკონომიკურმა მოვლენებმა მძიმე მდგომარეობა შექმნეს სოციალურ სფეროში.

## ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 50,3% სოციალური სფეროს დაფინანსებაზე მოდის

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ სასიკეთო ძვრებს რომლებსაც სირთულეების მიუხედავად ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ სფეროში, რაც თავის ერთერთ გამოხატულებას 1994 წლიდან მოყოლებული სოციალური ხარჯების ზრდაში ჰპოვებს (იხ. ცხრილი №1). არც მეორე ფაქტორია ყურადღების გარეშე დასატოვი — ძნელია მსოფლიოში მოიძებნოს ქვეყანა, რომლის ბიუჯეტშიც ხარჯების ამხელა წილი მოდის სოციალურ ხარჯებზე. კერძოდ 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური ხარჯების დაფინანსებაზე 472 მლნ ლარია გამოყოფილი,

რაც მთლიანი ხარჯების 50,3% შეადგენს, აქდან უდიდესი ნაწილი — 278,6 მლნ ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტში) მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებზეა მიმართული (იხ. ცხრილი №2).

წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად სოციალურად ორიენტირებული ქვეყნის სტატუსზე საქართველოს პრეტენზია ნამდვილად არ უნდა გააჩნდეს, რაზეც ნათლად მეტყველებს ქვეყნის სოციალური ორიენტაციის დონის განსაზღვრის მსოფლიოსი აპრობირებული მეთოდის გამოყენება, კერძოდ სოციალური ხარჯების წილის გაანგარიშება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი სრულად ვერ ასახავს მ.შ.პ.-ს და მის მხოლოდ 12% შეადგენს (1998 წლის გეგმიური მაჩვენებლები), ბიუჯეტში სოციალური ხარჯების ამხელა წილი არავითარ ეფექტს არ იძლევა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. 1997 წლის ბიუჯეტში სოციალური დაცვისა და სოციალური დაზღვევის ღონისძიებებზე გეგმიტ გათვალისწინებულმა ხარჯებმა მთლიანი შიდა პროდუქტის 3,2% შეადგინა, წელის კი ეს მაჩვენებელი, როგორც დაგეგმილია 3,8 %-ს მიაღწევს. (იხ. ცხრ. №3)

სოციალური ხარჯების ზრდის ტენდენცია სახეზეა, მაგრამ თუ საქართველოს სოციალური ორიენტაციის დონეს მსოფლიო მასშტაბით შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო არა მარტო განვითარებულ, არამედ ბევრ განვითარებად ქვეყანასაც ჩამოუვარდება. (იხ ცხრ. №4)

## სოციალური ხარჯების წილით მთლიან შიდა პროდუქტში საქართველო გვერ განვითარებად ქვეყანასაც ჩამოუვარდება და დაახლოებით ტუნისისა და მავრიკის დონეზე იმყოფება

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენაირ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის 278.6 მილიონი ლარის დაგეგმვა ბიუჯეტში სოციალურ ხარჯებზე არც თუ ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის პოლიტიკისა და

შესაბამისად ბიუჯეტის სოციალური ორიენტაციის დონე არ შეიძლება განისაზღვროს მარტოდენ სოციალური ხარჯების გეგმიური მაჩვენებლების ოდენობით, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ გეგმიური და ფაქტიური სოციალური ხარჯები, ისევე როგორც ყველაფერი სხვა ჩვენ ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ 1997 წელს სოციალურ ხარჯებზე 200 821 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, რეალურად კი 194 971 ათასი ლარით დაფინანსდა, რაც დაგეგმილის 95 % იყო. უნდა ვალიაროთ, რომ შესრულების ასეთი დონე საქართველოს ბიუჯეტისათვის არც თუ ცუდი მაჩვენებელია, რადგან ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი საერთოდ 88%-ით შესრულდა.

**სოციალური სფერო 1998 წელს 15 მილიონ ლარს ვერ მიიღებს**

თუ ვივარაუდებთ, რომ 1998 წლის ბიუჯეტში სოციალური ხარჯები იგივე პროცენტით შესრულდება, სოციალური სფერო ვერ მიიღებს დაახლოებით 15,1 მილიონ ლარს, რაც ძალზე დიდი დანაკლისი იქნება ისედაც გაჭირვებაში მყოფი ხალხისათვის.

ქვეყნის სოციალურად ორიენტაციის დონე თუ ბიუჯეტის ხარჯების მხრივ იმდენად არ იგრძნობა, განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს საგადასახადო კოდექსში, სადაც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს სოციალური გადასახადი წარმოადგენს.

სოციალური გადასახადი წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფორმირებისათვის აუცილებელ შენატანს.

სოციალური გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან დამქირავებელი მენარმე ფიზიკური პირები და იურიდიული პირები, რომლებიც შრომას უნაზრაურებენ საქართველოში დაქირავებულ ფიზიკურ პირებს; ფიზიკური პირები - მენარმეები და იურიდიული პირები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობის განხორციელებისას შრომას უნაზრაურებენ იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც მათ საქართველოში უნევენ მომსახერებას ხელშეკრულების საფუძველზე ან მის გარეშე; ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოში

ენევიან სამენარმეო საქმიანობას ან იღებენ ანაზრაურებას ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით.

**სოციალური გადასახადი საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალია**

სოციალური გადასახადის განაკვეთებიდან თუ ვიმსჯელებთ (ხელფასის ფონდის 27% სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში, 1% დასაქმების ფონდში და 1% ფიზიკური პირების ხელფასიდან სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში), საქართველო საკმაოდ სოციალურად ორიენტირებული ქვეყანაა, რადგან საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე სოციალური გადასახადი საქართველოში საკმაოდ მაღალია.

**მიწიშუბი (იხ. ცხრ. №5)**

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურს გადასახადს თავისი მოცულობით ბიუჯეტის შემოსავლებს შორის მეორე ადგილი უკავია დამატებითი ღირებულების გადასახადის შემდეგ. სოციალური გადასახადით ამოღებული თანხის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება და 1998 წლისათვის იგი 152 მილიონამდეა დაგეგმილი, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 103 პროცენტით აღემატება. (იხ. ნახ. ნახ. №6)

როგორც ავლნიშნეთ სოციალური გადასახადს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიუჯეტის შემოსავლებს შორის და როგორც დაგეგმილი იყო 1997 წელს მისი წილს საგადასახადო შემოსავლებში 12,7% უნდა შეედგინა (აქედან 12,3% სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში და 0.4% დასაქმების ფონდში), მაგრამ ტრადიციულად გადასახადის ამოღება სრულყოფილად ვერ მოხერხდა, მაგრამ სოციალური გადასახადის შესრულების მაჩვენებელმა 95,2% (აქედან 94%-ით სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში და 105%-ით დასაქმების ფონდში) ბიუჯეტის შემოსავლების საშუალო შესრულების მაჩვენებელს 92%-ს გადააჭარბა და ამის გამო სოციალური გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა საერთო შემოსავლების 13,1% (შესაბამისად 12,6% სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში

და 0,6% დასაქმების ფონდში) (იხ. ცხრ №7)

1998 წლისათვის დაგეგმილია, რომ სოციალური გადასახადის წილი საერთოდ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში 20,8%-ს შეადგენს, მაგრამ თუ ქვეყანაში არსებულ ტენდენციას გავითვალისწინებთ (სოციალური გადასახადების ამოღება უფრო მაღალი პროცენტით ხდება, ვიდრე შემოსავლები ერთად), ეს მაჩვენებელი 1-2 პროცენტით მეტი იქნება.

სოციალური გადასახადი რომ საკმაოდ მაღალია საქართველოში, მსოფლიო სტანდარტებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს. მართალია საქართველოში ძალზედ მძიმე სოციალური მდგომარეობაა და ქვეყანას დიდი რაოდენობით ესაჭიროება თანხები სხვადასხვა სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, მაგრამ სოციალური გადასახადის ასეთი სიდიდე, მხოლოდ ერთით შეიძლება აიხსნას, ეს არის სახელმწიფოს მცდელობა მთელი სოციალური ტვირთი ქვეყანაში დააკისროს მხოლოდ გადასახადების გადამხდელებს, რითაც თავიდან იქნება აცილებული ურჩი გადამხდელებისაგან თანხის ამოღების აუცილებლობა.

ამ ფაქტზე ნათლად მეტყველებს 1998 წლის ბიუჯეტში სოციალური გადასახადისაგან ამოსაღები თანხების გაანგარიშების მეთოდი. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდის შემოსავლების ნაწილი განსაზღვრული იქნა შემდეგნაირად.

**სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდის შემოსავლების გაანგარიშება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის**

1. ეროვნულ მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე მუშაკთა საპროგნოზო რიცხოვნობა ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) - 1540 ათასი კაცი

2. საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა საპროგნოზო რიცხოვნობა - 360 ათასი კაცი.

3. საშუალო ხელფასის პროგნოზი 1998 წელს, თვეში ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით - 45-60 ლარი

4. საშუალო ხელფასის პროგნოზი 1998 წელს, თვეში საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით - 35-45 ლარი

5. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი ეროვნულ მეურნეობაში 1998 წელს:

1540 ათ. კაცი X 53 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 979,4 მილიონ ლარს

6. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით 1998 წელს:

360 ათ. კაცი X 40 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 172,8 მილიონ ლარს

7. დაუბეგრავი ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი 1998 წლისათვის (ძალოვანი სტრუქტურების მოსამსახურეები)

60 ათ. კაცი X 80 ლარზე X 12 თვეზე = 57,6 მილიონ ლარს

8. დასაბეგრი ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი საბიუჯეტო სფეროში 1998 წელს:

172,8 მილიონ ლარს - 57,6 მილიონი ლარი = 115,2 მილიონ ლარს

9. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის განაკვეთი დამქირავებელთათვის — 27%

10. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის განაკვეთი ფიზიკური პირებისათვის — 1%.

11. მობილიზაციის საპროგნოზო დონე (ამოღების კოეფიციენტი) 1998 წლისათვის - 0,5

12. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს ეროვნული მეურნეობიდან (საბიუჯეტო სფეროს გარეშე)

დამქირავებელთათვის —  $979.4 \times 27\% \times 0.5 = 132.2$  მლნ. ლარი ფიზიკური პირებისათვის —  $979.4 \times 1\% \times 0.5 = 4.9$  მლნ. ლარი სულ — 137.1 მლნ. ლარი

13. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს საბიუჯეტო სფეროდან დამქირავებელთათვის —  $115.2 \times 27\% = 31.1$  მლნ. ლარი ფიზიკური პირებისათვის —  $115.2 \times 1\% = 1.1$  მლნ. ლარი სულ - 32.2 მლნ. ლარი

14. სულ 1998 წლის პროგნოზი სავალდებულო სადაზღვევო შენატანების მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში 169.3 მლნ. ლარი

**დასაქმების ფონდის შემოსავლების გაანგარიშება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის**

1. ეროვნულ მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე მუშაკთა საპროგნოზო რიცხოვნობა ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) — 1540 ათასი კაცი

2. საშუალო ხელფასის პროგნოზი 1998 წელს, თვეში ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით - 45-60 ლარი

3. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი ეროვნულ მეურნეობაში 1998 წელს:

1540 ათ. კაცი X 53 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 979,4 მილიონ ლარს

4. სავალდებულო სადაზღვევო შენატანის განაკვეთი დამქირავებელთათვის — 1%

5. მობილიზაციის საპროგნოზო დონე (ამოღების კოეფიციენტი) 1998 წლისათვის ---0,5.

6. სავალდებულო სადაზღვევო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს ეროვნული მეურნეობიდან (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) დამქირავებელთათვის —  $979.4 \times 1\% \times 0.5 = 4.9$  მლნ. ლარი

აღნიშნული გაანგარიშება მთელი რიგი სერიოზული დარღვევებითაა შესრულებული და იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ეს შეცდომები უფრო უვიცობით არის დაშვებული, ვიდრე გამიზნულად.

მნიშვნელოვან უზუსტობას მოცემულ გაანგარიშებაში წარმოადგენს დაგეგმილი ხელფასები საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორში. თუ დავყრდნობით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებს

საშუალო ხელფასი საქართველოში ჯერ კიდევ 1997 წლის ბოლოს 52 ლარს შეადგენდა, დღეისათვის კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 60 ლარს უტოლდება (გაანგარიშებაში 1998 წლის საშუალო ხელფასის მაჩვენებელი 50,5 ლარს უდრის). თუ ვივარაუდებთ, რომ საბიუჯეტო სფეროში ხელფასების საშუალო დონე რეალურ მაჩვენებლებს ეფუძნებ (რაც ცოტა არ იყოს ეჭვს იწვევს რადგან რეალურად ხელფასი გაცილებით მეტია), მაშასადამე საშუალო ხელფასი საბიუჯეტო სექტორში უკვე დღეისათვის შეადგენს 40 ლარს და არასაბიუჯეტოში 64 ლარს (ეს უკანასკნელი რა თქმა უნდა რეალურ ხელფასზე გაცილებით ნაკლებია) და განაგრძობს ზრდას.

მაშასადამე ხელფასის ფონდი საქართველოში 1998 წელს იქნება არა

1152,2 მილიონი ლარი, არამედ მინიმუმ 1368 მილიონი ლარი, რაც უკვე დღეისათვის 203,3 მილიონი ლარის სხვაობას ქმნის.

სოციალური გადასახადის ამოღება არასაბიუჯეტო სფეროში მართალია 50%-ით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ასეთი პროცენტით ამოღების შემთხვევაშიც კი დაგეგმილი თანხა 165,6 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო და სხვაობა არასწორი დაგეგმვის გამო დაახლოებით 28,5 მილიონს შეადგენდა, რეალურად კი განსხვავება დაგეგმილსა და არსებულს შორის 194.1 მილიონ ლარს შედგენს.

**არასწორი გამოთვლის გამო 1998 წლის სოციალური გადასახადით ამოსაღები თანხები რეალურის 46%-ს (სოც. უზრუნველყოფის ფონდში) და 36%-ს (დასაქმების ფონდში) შეადგინს**

**სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდის შემოსავლების გაანგარიშება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის**

1. ეროვნულ მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე მუშაკთა საპროგნოზო რიცხოვნობა ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) - 1540 ათასი კაცი

2. საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა საპროგნოზო რიცხოვნობა - 360 ათასი კაცი.

3. საშუალო ხელფასის პროგნოზი 1998 წელს, თვეში ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით

არის — 45-60 ლარი  
უნდა იყოს — 64 ლარი

4. საშუალო ხელფასის პროგნოზი 1998 წელს, თვეში საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით - 35-45 ლარი

5. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი ეროვნულ მეურნეობაში 1998 წელს

არის -- 1540 ათ. კაცი X 53 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 979.4 მილიონ ლარს

უნდა იყოს -- 1540 ათ. კაცი X 64 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 1182.72 მილიონ ლარს

6. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით 1998 წელს (ძალოვანი სტრუქტურების გარეშე)

არის -- 360 ათ. კაცი X 40 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 -- 60 ათასი კაცი X 80 ლარი X 12 თვეზე = 115.2 მილიონ ლარს

დაუშვათ, რომ ეს თანხა სწოდებდაა დაგეგმილი

7. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის განაკვეთი დამქირავებელთათვის -- 27%

8. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის განაკვეთი ფიზიკური პირებისათვის -- 1%.

9. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს ეროვნული მეურნეობიდან (საბიუჯეტო სფეროს გარეშე)

დამქირავებელთათვის -- არის  $979.4 \times 27\% \times 0.5 = 132.2$  მლნ. ლარი უნდა იყოს  $1182.72 \times 27\% = 319.4$  მლნ. ლარი

ფიზიკური პირებისათვის -- არის  $979.4 \times 1\% \times 0.5 = 4.9$  მლნ. ლარი უნდა იყოს  $1182 \times 1\% = 11,8$

მლნ. ლარი

სულ - არის 137.1 მლნ. ლარი უნდა იყოს 331.2 მლნ. ლარი

10. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს საბიუჯეტო სფეროდან დამქირავებელთათვის -- არის  $115.2 \times 27\% = 31.1$  მლნ. ლარი ფიზიკური პირებისათვის --  $115.2 \times 1\% = 1.1$  მლნ. ლარის სულ - არის -- 32.2 მლნ. ლარი

11. სულ 1998 წლის პროგნოზი სავალდებულო სადაზღვეო შენატანების მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში

არის -- 169.3 მლნ. ლარი  
უნდა იყოს -- 363.4 მლნ. ლარი

ანალოგიური გამოთვლების ჩატარება შეიძლება დასაქმების ფონდის შემოსავლებზე. მაგრამ სხვა ყველაფერთან ერთად აქ კიდევ ერთი ნიუანსი იჩენს თავს. საბიუჯეტო სექტორი არ იხდის შენატანებს დასაქმების ფონდში, რის გამოც 1998 წლის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 1.72 მილიონ ლარს.

მთლიანად დასაქმების ფონდის შემოსავლები დაგეგმილი 4.9 მილიონის ნაცვლად 13.6 მილიონი უნდა იყოს და 50%-იანი ამოღების პირობებშიც კი 7.649 მილიონი ლარი უნდა შეადგინოს, რაც 2.7 მილიონით აღემატება დაგეგმილს.

### დასაქმების ფონდის შემოსავლების გაანგარიშება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის

1. ეროვნულ მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე მუშაკთა საპროგნოზო რიცხოვნობა ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) -- 1540 ათასი კაცი

2. საშუალო ხელფასის პროგნოზი 1998 წელს, თვეში ეროვნულ მეურნეობაში (საბიუჯეტო სფეროს გარეშე) დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით

არის -- 45-60 ლარი  
უნდა იყოს -- 64 ლარი

3. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი ეროვნულ მეურნეობაში 1998 წელს

არის — 1540 ათ. კაცი X 53 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 979.4 მილიონ ლარს

უნდა იყოს — 1540 ათ. კაცი X 64 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 თვეზე = 1182.72 მილიონ ლარს

4. ხელფასის წლიური ფონდის პროგნოზი საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა მიხედვით 1998 წელს (ძალგვანი სტრუქტურების გარეშე)

არ არის —

უნდა იყოს - 360 ათ. კაცი X 40 ლარზე (საშუალო ხელფასი თვეში) X 12 X = 172.8 მილიონი ლარი

5. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის განაკვეთი დამქირავებელთათვის — 1%

6. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს ეროვნული მეურნეობიდან (საბიუჯეტო სფეროს გარეშე)

დამქირავებელთათვის — არის  $979.4 \times 1\% \times 0.5 = 4.9$  მლნ. ლარი უნდა იყოს  $1182.72 \times 1\% = 11.83$  მლნ. ლარი

7. სავალდებულო სადაზღვეო შენატანის საპროგნოზო მოცულობა 1998 წელს საბიუჯეტო სფეროდან დამქირავებელთათვის — არ არის უნდა იყოს  $172.8 \times 1\% = 1.728$  მლნ. ლარი

8. სულ 1998 წლის პროგნოზი სავალდებულო სადაზღვეო შენატანების მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში

არის — 4.9 მლნ. ლარი

უნდა იყოს — 13.56 მლნ. ლარი

ყველა ზემთაღნიშნულიდან გამომდინარე დიდი წარმატების მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტები, რომ სოციალური უზრუნველყოფის ფონდში გადასახადების ამოღების გეგმა 95%-ით სრულდება და დასაქმების ფონდში კი 100%-ზე მეტით, რადგან

დაგეგმილი თანხები რეალურის შესაბამისად 46%-სა და 36%-ს შეადგენს.

საინტერესოა, თუ რომელი ორგანიზაციები ხვდებიან იმ 54 და 64%-ში, რომლებზეც დაგეგმილიდან გამომდინარე არ შედიან სოციალური გადასახადის გადამხდელთა სიაში და როგორ ახერხებენ შესაბამისი ორგანოები სოციალური გადასახადის გეგმის ვერ შესრულებას.

დღესდღეობით ორგანიზაციათა დავალიანება სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდისათვის შეადგენს 60 მილიონ ლარზე მეტს, რომელთაგან 14 მილიონის გადახდაზე ორგანიზაციებთან მიღწეულია შეთანხმება და შედგენილია გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მოხდება დავალიანების დაფარვა. ორგანიზაციათა დავალიანება დასაქმების ფონდისათვის შეადგენს 1.2 მილიონ ლარს.

ურჩ გადახდელთა დასჯა რომ აუცილებელია, ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევს და მართლაც 300-მდე საქმე სოციალური გადასახადის გადაუხდელობის გამო და 10 საქმე დასაქმების ფონდში დავალიანების გამო უკვე გადაცემულია პროკურატურას.

სოციალური გადასახადის აუცილებლობა რა თქმა უნდა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არც ის იწვევს ეჭვს, რომ ამ საკითხში ძალზე ბევრი რამ არის შესაცვლელი.

კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე სოციალური გადასახადი საქართველოში ძალიან მაღალია. განსაკუთრებით შენატანი სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში. გამართული საგადასახადო სისტემის არსებობის პირობებში 1998 წელს სოციალური უზრუნველყოფის ფონდისათვის საჭირო თანხების მობილიზაცია შეიძლებოდა 13.5% საგადასახადო განაკვეთით, ნაცვლად 28%-სა.

რა თქმა უნდა საქართველოს საგადასახადო სისტემაში დღეისათვის არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შეუძლებელია სოციალური გადასახადის განაკვეთის 13.5%-მდე შემცირება, მაგრამ მისი 15%-მდე მაინც დაწევა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

არსებული სოციალური გადასახადის ერთ-ერთ ალტერნატივას წარმოადგენს ხელფასის ფონდის დაბეგვრის მინიმუმამდე შემცირება და უშუალოდ ხელფასის დაბეგვრა ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც

საშუალებას მისცემს მოქალაქეებს ისარგებლონ სოციალური დაზღვევის ალტერნატიული სახელმწიფოსაგან განსხვავებული ვარიანტით.

**სოციალური სფეროსათვის საჭირო თანხების აკუმულირება საგადასახადო სისტემის ნორმალურად ფუნქციონირების უზრუნველყოფის უზრუნველყოფის 15 პროცენტით განაკვეთით.**

საქართველოში დიდი სირთულეებია სოციალური საკითხების აკუმულირებასთან, მაგრამ არანაკლები სირთულეებია უკვე აკუმულირებული თანხების ხარჯვასთან. იმის გამო, რომ პრაქტიკულად ვერასდროს ვერ ხერხდება სოციალური გადასახადების სრულად ამოღება, მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიდის თანხების მიზნობრივი ხარჯვა.

1997 წლის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 130,8 მილიონი ლარი, ნაცვლად გათვალისწინებული 140,0 მილიონი ლარისა, ე.ი. ხარჯები დაფინანსდა 93,4%-ით. (იხ. ცხრ. №8)

რაც შეეხება დასაქმების ფონდს, მან ხარჯების გეგმა გასულ წელს 99%-ით შეასრულა (იხ. ცხრ. №9) და სოციალური უზრუნველყოფის ფონდისაგან განსხვავებით, რომელმაც ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტის სახით მიიღო 32,7 მილიონი ლარი, თავისი შემოსავლების ხარჯზე შესძლო თავის დაკმაყოფილება.

არც სოციალური ხარჯების სტრუქტურა და არც მათი შესრულების პროცენტი (ლაპარაკია ხარჯების გეგმის შესრულებაზე) წლიდან წლამდე არავითარ მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის. 1998 წლისათვის სოციალური ხარჯების ნაწილი დაახლოებით იგივე სტრუქტურას ინარჩუნებს და შესრულების პროცენტიც მაქსიმუმ იგივეა მოსალოდნელი (იხ. ცხრ. №10 და №11).

სოციალური ხარჯების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს პენსიებზე განეული ხარჯები, რომლებიც 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯების 20,7%-ს შეადგენდა (იხ. ცხრ. №12). ეს გარკვეულწილად გამართლებულიცაა, რადგან პენსიონრები სოციალურად ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ. თითოეულ

პენსიონერზე თვეში საშუალოდ 9,6 ლარი მოდიოდა (რაც საარსებო მინიმუმის 10,8%-ს შეადგენდა), რეალურად კი საშუალოდ 9,1 ლარი მიიღეს, რადგან 1997 წელს ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა დავალიანებები პენსიებზე, რომლებმაც წლის ბოლოსათვის 17,9 მილიონი

ლარი შეადგინა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ 1997 წლის დავალიანებამ პენსიების გაუცემლობის გამო მხოლოდ 5,5 მლნ ლარი შეადგინა, დანარჩენი 12, 4 მლნ ლარი კი წლებიდან გადმოყოლილ ვალს შეადგენს.

1997 წელს თითქმის ყველა რეგიონში შეიმჩნეოდა პენსიების საშუალოდ 3-4 თვის გაუცემლობის ფაქტები. გამოვლენილი იყო პენსიების დატაცების, მითვისებისა და ზედმეტად გაცემის ფაქტები, იყო აგრეთვე გარდაცვლილ პენსიონერებზე პენსიების გაცემის შემთხვევები.

**1998 წლის 1 იანვრისათვის მილიანად დავალიანებამ პენსიებზე შეადგინა 17,9 მილიონი ლარი.**

მნიშვნელოვანი ძვრები (საქართველოს მასშტაბით) მოხდა ქვეყნის საპენსიო პოლიტიკაში 1998 წლის დასაწყისიდან. 1 იანვრიდან მოხდა პენსიების ზრდა. შრომისა და სოციალური პენსიების მიმღებ ყველა არამომუშავე პენსიონერს გაეზარდათ პენსიები 1,2 ლარით და თვეში 13 ლარი შეადგინა.

**1997 წელს გაუცემელი პენსიების მოცულობამ 5,5 მილიონი ლარი შეადგინა**

საქართველოში დღეისათვის არსებული ვითარებიდან გამომდინარე ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ომის ვეტერანთათვის და მათთან გათანაბრებულ პირთათვის პენსიების მომატება, რადგან პენსიონერთა ყველა კატეგორიისათვის პენსიების გაზრდა ამ ეტაპზე მხოლოდ ქალღმრუდზე თუ მოხერხდებოდა, რეალურად კი გაიზრდებოდა მთავრობის დავალიანება გაუცემელი პენსიების გამო.

მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა ქვრივებს (რომლებიც მეორედ აღარ



გათხოვილან) გაეზარდათ პენსია 16,2 ლარამდე.

1998 წლის 1 იანვრიდან 45 ლარამდე გაეზარდათ პენსია ომის ინვალიდებს, 40 ლარამდე ომის მონაწილეებს და 35 ლარამდე ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს.

პენსიების ასეთი ზრდის გათვალისწინებით მათზე განეულმა ხარჯებმა მთლიანად საქართველოს მასშტაბით თვეში შეადგინა 12 500 546 ლარი, რაც დაახლოებით 3.6 მილიონი ლარით აღემატება 1997 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. (იხ. ცხრ. №13)

პენსიების ზრდამ 1998 წლის 1 იანვრიდან გამოიწვია პენსიების საშუალო დონის ზრდა 13,3 ლარამდე, რაც 39%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, მაგრამ მიუხედავად ასეთი ზრდისა საშუალო პენსია ქვეყანაში

1998 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით კი ანალოგიურმა მაჩვენებელმა უკვე 61,4 ლარი შეადგინა.

1998 წლის მონაცემებით შინაგან საქმეთა სამინისტროში აღრიცხვაზე მყოფ 8500 პენსიონერზე საშუალოდ თვეში 660 ათასი ლარი იხარჯება, რაც თითოეულ პენსიონერზე თვეში საშუალოდ 77,6 ლარს შეადგენს.

მოცემული კატეგორიის პენსიონერთა პენსიების განსაზღვრის არც თუ მარტივი სისტემაა შექმნილი. პენსიების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება: სამხედრო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგი, პროცენტული დანამატი წელთა ნამსახურების გამო და სასურსათო ულუფის ფულადი ღირებულება.

თანამდებობრივი სარგოს

**საშუალო პენსია საქართველოში  
საარსებო მინიმუმის 14,8 პროცენტს  
შეადგენს**

გაანგარიშებისას თანამდებობრივი კოეფიციენტი 2,7 ლარი (შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები) მრავლდება სპეციალურ განაკვეთებზე, რომლებიც დადგენილია წოდებების მიხედვით. (ცხრ. №14)

საარსებო მინიმუმის 14,8%-ს შეადგენს.

როდესაც პენსიის საშუალო დონეს ქვეყანაში 13,3 ლარით ვსაზღვრავთ, გათვალისწინებული არ არის პენსიონერების ის კატეგორია, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოსაგან (და არა სოციალური უზრუნველყოფის ფონდიდან) იღებენ პენსიას და შინაგან საქმეთა, თავდაცვის, უშიშროების სამინისტროში და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში არიან აღრიცხვაზე. ასეთი კატეგორიის პენსიონერთა რიცხვი 19 ათასამდეა.

ანალოგიური მექანიზმით იანგარიშება წოდებრივი განაკვეთები. წოდებრივი კოეფიციენტი 1,7 ლარი მრავლდება №14 ცხრილში მოყვანილ წოდებების მიხედვით დადგენილ განაკვეთებზე.

ამ ორი მაჩვენებლის შეკრების შემდეგ მიღებულ თანხას ემატება პროცენტები წელთა ნამსახურების მიხედვით. (იხ. ცხრ №15)

მიღებულ თანხას ემატება სასურსათო ულუფის ფულადი ღირებულება 59 ლარი ოდენობით (შსს-ს მონაცემებით) და საბოლოოდ ყალიბდება პენსიის მოცულობა.

ამ კატეგორიის პენსიონერთა პენსიების მოცულობას ცალკე კანონი განსაზღვრავს და იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალური უზრუნველყოფის ფონდის მიერ გაცემული პენსიებისაგან. მართალია კონკრეტულ სხვაობაზე საუბარი შეუძლებელია (რადგან არ არსებობს პენსიების ერთიანი განაკვეთი და თითოეული კონკრეტულ შემთხვევაში ხდება პენსიის მოცულობის ინდივიდუალურად გაანგარიშება), მაგრამ შედარებისათვის შემდეგი ციფრების მოყვანა შეიძლება:

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე რთულია ძალოვან სტრუქტურებში პენსიის ერთიან განაკვეთზე ლაპარაკი, მაგრამ ერთის აღნიშვნა კი ნამდვილად შეიძლება, მინიმალური პენსიის მოცულობა გაცემული ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებზე (შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალებზე დაყრდნობით) უნდა შეადგენდეს 73 ლარს. მაქსიმალური პენსიები კი 200 ლარზე მეტია.

თავდაცვის სამინისტროში აღრიცხვაზე მყოფმა 8815 პენსიონერმა 1997 წელს მიიღო 4942502 (ოთხი მილიონ ცხრაას ორმოცდაორი ათას ხუთას ორი) ლარი, რამაც საშუალოდ თითოეულ პენსიონერზე 46,7 ლარი შეადგინა.

შედარებით ნაკლებია პენსია გაცემული ძალოვანი სტრუქტურების მიერ მარჩენალის დაკარგვის გამო და საშუალოდ შეადგენს 45 ლარს.

როგორც ვხედავთ ძალოვანი სტრუქტურების მიერ გაცემული პენსიები

მნიშვნელოვნად აღემატება სოციალური უზრუნველყოფის ფონდის მიერ გაცემულ პენსიებს.

თუ გავითვალისწინებთ 1997 წლის გამოცდილებას 1998 წელს პენსიებზე გაცემული თანხების გათვალისწინებით საშუალო პენსიის 13,3 ლარის (ძალოვანი სტრუქტურების მიერ გაცემული პენსიების ჩათვლელად) დონეზე შენარჩუნება ვერ მოხერხდება, რადგან გაუცემელი პენსიების დავალიანება აშკარად გაიზრდება, რაც სოციალური დაძაბულობის რეალური კერა იქნება ყოველთვის.

**1998 წლის I კვარტალის ბოლოს დავალიანება პენსიებზე უკვე 4,5 მილიონი ლარი შეადგინა**

ასეთი განცხადების გაკეთების საშუალებას იძლევა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის მონაცემები 1998 წლის 3 თვის განმავლობაში პენსიების გაცემის შესახებ, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ უკვე I კვარტალის ბოლოს დავალიანებამ პენსიებზე 4,5 მილიონი ლარი შეადგინა. (იხ. ცხრ.№16)

**სერიოზულ რეფორმებს საჭიროებს ქვეყნის სოციალური პოლიტიკა**

როგორც ვხედავთ ქვეყანა სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება 1998 წელს და ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი გაუცემელი პენსიები იქნება. ამიტომ სერიოზული რეფორმების გატარება საჭირო საქართველოს სოციალურ სფეროში და მათ შორის პენსიებთან მიმართებაშიც.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას დღეისათვის საქართველოს საპენსიო პოლიტიკაში წარმოადგენს პენსიონერთა ზუსტი რიცხვის განსაზღვრა, რადგან ე.წ. მკვდარი სულების გამო ქვეყანა მილიონობით ლარს კარგავს. თუ საქართველოში პენსიონერთა რიცხვს შევხედავთ (იხ. ცხრ. №17), კატასტროფულ სურათს დავინახავთ. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი პენსიონერია. თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საპენსიო ასაკს წარმოადგენს 60 წელს ქალებისათვის და 65 წელი მამაკაცთათვის, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი დიდად არ განსხვავდება ამ ასაკისაგან (1989 წლისათვის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა

ქალებისათვის იყო 71 წელი, ხოლო მამაკაცთათვის 69 წელი და ამის შემდეგ გამალებით იწევდა ქვევით), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ან ქვეყანაში საშუალო ასაკის მოსახლეობა პრაქტიკულად არ არსებობს და დემოგრაფიული კრიზისია, ან პენსიონერთა სიებია საგრძნობლად გაბერილი.

პენსიონერთა რიცხვის დარეგულირება ქვეყნის საპენსიო პოლიტიკის ერთ-ერთი სერიოზული, მაგრამ არა ერთად-ერთი პრობლემაა. მთლიანად გადასახედია ქვეყნის საპენსიო პოლიტიკა. საქართველოში პენსია რომ

ძალიან დაბალია, უკვე ითქვა და ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აღარ ღირს. მართალია ომის მონაწილეების პენსიების

განაკვეთებმა აიწია, რითაც ძალზე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დაფასდა მათი ღვაწლი ქვეყნის წინაშე, მაგრამ უყურადღებოდ რჩება პენსიონერთა კიდევ ერთი კატეგორია, რომლებიც ე.წ. „შრომით“ პენსიას იღებენ. ეს პენსიონერთა ის ნაწილია, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შრომობდნენ. ამ

კატეგორიის პენსიონერთათვის პენსიის ომის ვეტერანთა პენსიების დონემდე აწევადღეისათვის საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

არარეარლურია, მაგრამ ის მაინც უნდა მოხერხდეს, რომ მათი პენსიების განაკვეთები თუნდაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც განსხვავდებოდეს ე.წ. „სოციალური“ პენსიისაგან, რათა ცოტათი მაინც დაფასდეს იმ ხალხის შრომა.

ამგვარი უსამართლობის მომავალში თავიდან აცილების რეალურ საშუალებას წარმოადგენს კერძო საპენსიო ფონდების მექანიზმის ამუშავება საქართველოში, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პარარელურად. ეს საშუალებას მისცემს როგორც საბიუჯეტო ისე არასაბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ პირებს გააკეთონ არჩევანი და თვითონ განსაზღვრონ თავიანთი პენსიის მოცულობა. ამით საშუალება მიეცემა მათ, ვინც დღეისათვის ბიუჯეტში იხდის მნიშვნელოვან თანხებს (საქართველოს მასშტაბით რა თქმა უნდა) მიიღოს იმაზე მეტი პენსია, რასაც მიიღებენ ის პიროვნებები ვისაც ერთი თეთრიც კი არ გადაუხდია სოციალური გადასახადის სახით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დღეისათვის 1 მილიონამდე პენსიონერია, შეუძლებელია მხოლოდ კერძო საპენსიო ფონდებზე გადასვლა და როგორც საბიუჯეტო, ისე კერძო სექტორის განთავისუფლება სოციალური უზრუნველყოფის ფონდში გადასახადის გადასახადისაგან. სანყის ეტაპზე სოციალური გადასახადი 10%-მდე მაინც უნდა შემცირდეს (მით უმეტეს, რომ როგორც ზევით გაიკვია 13%-იანი სოციალური გადასახადით, ნესიერი ამოღების შემთხვევაში სრულად შეიძლება სოციალური უზრუნველყოფის ფონდის მოთხოვნების დაკმაყოფილება) მათთვის ვინც უარს იტყვის სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფაზე.

კერძო საპენსიო ფონდები პირველ ეტაპზე ალბათ მიზანშეწონილია შეიქმნას კომერციული ბანკებთან, რადგან ჯერ ერთი მათ უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობის გარკვეული ნდობა დაიმსახურეს და მეორეც, ეს დამატებითი კაპიტალის მოზიდვის წყარო გახდება ბანკებში, რამაც თავისთავად წარმოების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

მიუხედავად უკანასკნელ წლებში არსებული ძვრებისა, სერიოზული რეფორმა ესაჭიროება ქვეყნის დასაქმების პოლიტიკას. 1998 წლის ივლისისათვის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ რეგისტრირებული იყო 192 281 უმუშევარი.

დასაქმების სფეროში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 192 ათასი უმუშევრიდან მხოლოდ 74 ათასი არის რეგისტრირებული დასაქმების ფონდში, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია, კერძოდ დასაქმების ფონდში რეგისტრაციის შემთხვევაშიც კი უმუშევარს არ აქვს გარანტირებული უმნიშვნელო შემწეობის მიღებაც კი თუ ბოლო ორი წლის განმავლობაში


ნ თვე მაინც ანაზღაურებად სამუშაოზე არ მოშაობდა. საქართველოში წინა ორი წლის განმავლობაში წარმოების დონის პრაქტიკულად ნულამდე დაცემის პირობებში კი ძალიან ცოტა თუ მოიძებნება ის ხალხი, რომელიც მუშაობდა, ან მუშაობის შემთხვევაშიც კი თეთრად იღებდა ხელფასს. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით უმუშევართა უმრავლესობას ურჩევნია თავიდან აიცილოს დასაქმების ფონდში აღრიცხვაზე ასვლასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული სიძნელებები და საკუთარი ძალებით ეძებოს სამუშაო.

დასაქმების ფონდში დღეისათვის რეგისტრირებული 74 ათასი უმუშევრიდან დაახლოებით 73 ათასი იღებს შემწეობას უმუშევრობისათვის, რომელიც ძალზე უმნიშვნელო თანხაა და ექვსი თვის განმავლობაში (დახმარება უმუშევრობისათვის გრძელდება მაქსიმუმ ექვსი თვის განმავლობაში) მთლიანად 60 ლარს შეადგენს. 11 ლარი პირველი ორი თვის განმავლობაში, 10 ლარი შემდეგი ორი თვის განმავლობაში და 9 ლარი ბოლო ორი თვის განმავლობაში.

მიუხედავად პრობლემებისა, დასაქმების ფონდის საქმიანობა უკანასკნელი პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 1998 წელს მხოლოდ 11 კვარტლის განმავლობაში დასაქმებული იქნა 1663 კაცი, ხოლო დროებით სამუშაოში ჩართული იქნა 2000 კაცამდე. განხორციელებული იქნა დასაქმების ფონდისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ერთობლივი პროექტები 50-50% დაფინანსებით, რომლებმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვეს.

როგორც ვხედავთ ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაში არსებული დადებითი ძვრების მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული საკითხია გადასაჭრელი და რეფორმა გასატარებელი.

სოციალური ხარჯები საქართველოში



ცხრილი №3

სოციალური ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში


№	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	
	მლნ. მან	მლნ. მან	მლნ. მან	მლნ. მან	მლნ. კუპ	მლნ. კუპ	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	მლნ. ლარი	
1	სოციალური ხარჯები	553.9	629.3	120	152.4	61782	10797	32.9	146.7	219.5	278.8
2	ზრდის ტემპი		13.6	-81	27				346	49.6	27
3	სულ ხარჯები	4327.5	4606.9	5937.7	45452.5	1147944	902545	391.209	682.432	886.1	938.8
4	სოც. ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში მ.შ.პ.	12	13.7	2.02	0.33	5.4	1.2	8.4	21.5	24.8	29.6
5	მლნ. ლარი			12510	6881	5334	4763	5437	6109	6864	7800
6	მ.შ.პ.-ს ზრდის ტემპი				-45	-29	-12	2.4	11	12	11
7	სოც. ხარჯების წილი მშპ-ში				2.2	1.15	2.2	0.6	2.4	3.2	3.8

ცხრილი №4

მთლიანი შიდა პროდუქტში სოციალური დახმარებების წილი

ქვეყანა	სოციალური ხარჯების წილი მ.შ.პ.-ში	ქვეყანა	სოციალური ხარჯების წილი მ.შ.პ.-ში	ქვეყანა	სოციალური ხარჯების წილი მ.შ.პ.-ში
არგენტინა	4.5	იაპონია	11.5	პორტუგალია	9
აშშ	10.5	ირლანდია	19.4	რუმინეთი	16.9
ავსტრია	24.5	ისრაელი	11.8	სინგაპური	7.2
ახალი ზელანდია	20.2	კანადა	21.7	სლოვაკეთი	13.3
ბელორუსია	12	კოლუმბია	2.4	შვეცია	38.3
ბულგარეთი	19.8	კორეის რესპუბლიკა	2.3	შვეიცარია	14.2
ჩეხეთი	11.1	ლატვია	9.1	ტუნისი	4.1
დანია	29.5	მაერიკი	3.6	თურქეთი	4.9
ფინეთი	30.5	ნორვეგია	19.6	უნგრეთი	17.3
გერმანია	24.7	პოლონეთი	17	ურუგვაი	• 14.8

სოციალური გადასახადით ამოღებული თანხები



ცხრილი 7

სოციალური გადასახადით ამოღებული თანხების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში

	1995	1996	1997	1998
სულ საგადასახადო შემოსავლები	57 976	295 036	568 836	727 836,2
სოციალური გადასახადით ამოღებული თანხები	44 931	71 569	74 840	152 000
მათ შორის:				
სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში	42 665	69 313	71 688	147 700
დასაქმების ფონდში	2 266	2 256	3 152	4 300
სოციალური გადასახადით ამოღებული თანხების წილი საერთო შემოსავლებში.			13.1	20.8
მათ შორის;				
სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში			12.6	20.2
დასაქმების ფონდში			0.6	0.6

ცხრილი №8

სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯები 1997 წელი (მილიონ ლარებში)

	გეგმა	წილი მთლიან ხარჯებში	ფაქტი	გეგმის შესრულების პროცენტი
პენსიებზე განეული ხარჯები	127.9	91.3	120.5	94
მკურნალობასა და გაჯანსაღებაზე, დროებით შრომისუუნარობაზე, ორსულობაზე და მშობიარობისას დახმარებებთან დაკავშირებული ხარჯები	8.6	6.1	7.6	88
რეგრესიული პენსია	0.5	0.3	0.5	100
საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	3.0	2.1	2.2	68.8
სულ	140.0		130.8	93.4

ცხრილი №9

დასაქმების ფონდის ხარჯები 1997 წელს

	ხარჯები	ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში
უმუშევართა შემწეობა	1.1	36.6
აქტიური დასაქმების პოლიტიკის რეალიზაციის ხარჯები	0.9	30
უმუშევართა მომზადება გადამზადების ხარჯები	0.35	11.7
საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსება	0.05	1.6
საორგანიზაციო ხარჯები	0.6	20
სულ	3.0	100

ცხრილი №10

სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯები 1998 წელი (მილიონ ლარებში)

	გეგმა	წილი მთლიან ხარჯებში
პენსიებზე განეული ხარჯები	172.0	90.7
მკურნალობასა და გაჯანსაღებაზე, დროებით შრომისუუნარობაზე, ორსულობაზე და მშობიარობისას დახმარებებთან დაკავშირებული ხარჯები	9.5	5.0
ბავშვთა სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები	4.5	2.4
რეგრესიული პენსია	0.7	0.4
საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	3.0	1.6
სულ	189.7	

დასაქმების ფონდის ხარჯები 1998 წელს  
(მილიონ ლარებში)

	ხარჯები	ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში
უძულებართა შემწეობა	1.9	44.2
აქტიური დასაქმების პოლიტიკის რეალიზაციის ხარჯები	1.1	25.6
უძულებართა მომზადება გადამზადების ხარჯები	0.5	11.6
საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსება		
საორგანიზაციო ხარჯები	0.8	18.6
სულ	4.3	100

ცხრილი №12

1997 წელს პენსიებზე გაცემული თანხების მოცულობა

	პენსიონერთა რაოდენობა	წილი საერთო პენსიონ რებში	1997 წელს პენსიებისათვის საჭირო თანხები	ფაქტიურად გაცემული თანხები			დანაკლისი	შესრულების %
				ფონდიდან	ადგილობრივი	სულ		
აფხაზეთი	10 648	1	1 216 951	955 000		955 000	261 951	78.5
აჭარა	62 143	6.6	7 153 686	940 000	6 435 887	7 375 887	-222 201	103.1
თბილისი	192 379	20.6	22 106 005		22 345 269	22 354 269	-248 264	101.3
გურია	39 745	4.3	4 616 490	3 077 200	921 626	3 998 826	617 664	86.6
იმერეთი	183 794	19.6	21 287 438	10 180 000	8 620 409	18 800 409	2 487 024	88.3
კახეთი	97 800	10.5	11 353 745	6 800 000	2 899 007	9 699 007	1 654 738	85.4
მცხეთა თიანეთი	27 940	3.0	3 240 381	965 000	2 535 217	3 500 217	-259 836	108
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	20 112	2.2	2 354 670	1 470 000	5 921 015	2 052 015	292 655	87.1
სამეგრელო	101 941	10.9	11 757 463	8 160 500	4 934 741	13 095 241	-1 337 778	111.3
სამცხე ჯავახეთი	44 840	4.8	5 200 008	2 267 500	2 305 408	4 572 908	627 100	87.9
შიდა ქართლი	68 434	7.3	7 930 613	3 90 000	3 491 888	6 881 888	1 048 725	86.8
ქვემო ქართლი	85 174	9.1	9 794 920	3 340 000	5 919 658	9 260 158	-534 726	94.5
სულ	943 950	100	100 102 368	41 545 100	61 010 125	102 555 825	5 456 543	94.8

კოეფიციენტები ნოდებების მიხედვით

ნოდები	პოლიცია	შინაგანი ჯარები
უმცრისი ლეიტენანტი	3.0	3.0
ლეიტენანტი	3.5	3.2
უფროსი ლეიტენანტი	4.0	3.4
კაპიტანი	4.5	3.6
მაიორი	5.0	3.9
ვიცე პოლკოვნიკი	5.5	4.2
პოლკოვნიკი	6.0	4.5
გენერალ მაიორი	6.5	4.9
გენერალ ლეიტენანტი	7.0	5.2

პროცენტული დანამატები წელთა ნამსახურების მიხედვით

ნამსახურები წლები	პოლიცია	შინაგანი ჯარები
2-დან 5 წლამდე	10%	5%
5-დან 10 წლამდე	15%	10%
10-დან 15 წლამდე	20%	15%
15-დან 20 წლამდე	25%	20%
20-დან 25 წლამდე	35%	25%
25-დან 30 წლამდე	40%	30%
30-დან 35 წლამდე		35%
35 წელს ზევით		40%

სოციალური გადასახადი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	უკრაინა	თურქეთი
1) სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში - 27% 2) დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში - 1% 3) ფიზიკური პირების ხელფასიდან სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში 1%	8 მინ. ხელფასამდე - 32%; 8-დან 16 მ.ხ.-მდე 27%; 16 მ.ხ.-ზე ზემოთ 22%	1) დასაქმების ერთიან სახ. ფონდში - 2%; 2) საპენსიო ფონდში: ხელფასის ფონდის - 35%; დაქორავებულის ხელფასის - 1%	1) როცა საგადასახადო ბაზა 60 მლნ. რუბლია: ა) 3,5% - სოც. დაზღვევის ფონდში; ბ) 1% სახ. დასაქმების ფონდში; გ) 3,9% აუცილებელი ფედერალური სამედიცინო დაზღვევის ფონდში სულ - 8,4% 2) 60 მლნ. რუბლზე მეტი: ა) 1,5% - სოც. დაზღვევის ერთიან სახ. ფონდში; ბ) 2,5% - აუცილებელი ფედერალური სამედიცინო დაზღვევის ფონდში. სულ - 4%	1) ჩერნობილის ფონდი - დაბეგვრის ობიექტი ხელფასის ფონდი - 12%; 2) დასაქმების ფონდში - 2%; 3) სოც. დაზღვევის ფონდში - 37% სანარმოთა ხელფასის ფონდიდან; საზ. ორგანიზაციების ხელფასიდან - 5%; საკუთარი ბიზნესის მქონე პირთა შემოსავალი - 9%	



პენსიონერთა რაოდენობა საქართველოში 1998 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოთხოვნის ზრდის მეორე გზა არის იძულებითი ღონისძიება საკვლევო დაზღვევა. ამ უკანასკნელის განვითარება ერთ-ერთი ძირითადი გზაა სახელმწიფო სადაზღვევო პოლიტიკის განხორციელებისას. ისეთი პასუხისმგებლობა თუ ქონება, რომელიც დიდ რისკს ატარებს უნდა იყოს დაზღვეული. სახელმწიფოს მხრიდან თუ შევხედავთ შემდეგი სიტუაციაა, ვინც გაზრდილ რისკს ქმნის ალბათობა იმისა, რომ რისკის შედეგად წარმოიშვას ზარალი დიდია და თუ თქვა დამზარალელებმა ფული არა მაქვს, მაშინ რა ჰქნას სახელმწიფომ ხარჯები თავისი სახსრებით დაფაროს?

საკვლევო დაზღვევის განვითარებამ ეს პრობლემა უნდა გადაწყვიტოს. ავტომანქანა

**პასუხისმგებლობა თუ ქონება, რომელიც დიდ რისკს შეიცავს, უნდა იყოს აუცილებლად დაზღვეული.**

არის დიდი რისკის მქონე, ამიტომ ავტომფლობელი სანამ მანქანაში ჩაჯდება დააზღვიოს თავისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ასეთივე სიტუაცია იქმნება ნოტარიუსთან დაკავშირებით. მიწდინარეობს საუბარი, რომ იქნას შემოღებული ნოტარიუსის საკვლევო დაზღვევა. ასევე უნდა იყოს დაზღვეული ქიმიური პროდუქტის წარმოება თუ სხვა დიდი რისკის მქონე შემთხვევა.

ზემოთ თქმულიდან გამომდის, რომ საკვლევო დაზღვევა აუცილებელი და საჭირო სახეობაა, მაგრამ ეს დაზღვევა ანაზღაურებს კი მთელ ზარალს. ჩვენი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დაზარალებულს საშუალება აქვს წარუდგინოს დამზარალელებს ზარალის დიდი ნაწილი:

- დაკარგული შემოსავლების ანაზღაურება;
  - მორალური ანაზღაურება.
- ასე რომ ავტომფლობელს დაზარალებულმა

შეიძლება წარუდგინოს ზარალის მთელი სია, ხოლო ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა უზრუნველყოფს მხოლოდ მაქსიმუმ 2500 ლარის ანაზღაურებას. ეს თანხა გამოთვლილია თუ თითოეულ ავტომფლობელს რამდენის გადახდა შეეძლო ტექნიკური დათვალიერების გადასახდელზე დამატებით. გამოვიდა 20-25 ლარი. საერთოდ ავტომანქანების რაოდენობისა და საგზაო შემთხვევების სტატისტიკის გათვალისწინებით მიიღეს 2500 ლარი მაქსიმუმ. ამასთან ტექნიკური ზარალი არ ანაზღაურდება.

ასეთ სიტუაციაში დაზარალებულის მიერ წაყენებული ზარალი უნდა ანაზღაუროს ისევ ავტომფლობელმა, რადგან 2500 ლარის მეტს სადაზღვევო კომპანია ვერ გადაუხდის. ამის გამო საზოგადოებაში დაზღვევის ამ სახეობამ უკმაყოფილება გამოიწვია.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს რომ სადაზღვევო პრემია უნდა იყოს რისკის ადექვატური და უნდა ანაზღაურებდეს ზარალს.

თუმცა არსებობს ნაწილობრივი დაზღვევის

**სადაზღვევო პრემია უნდა იყოს რისკის ადექვატური და უნდა ანაზღაურებდეს ზარალს.**

მექანიზმი ხელშეკრულების მიხედვით. მაგალითად 50.000 ლარიანი ქონება შეიძლება დაიზღვიოს 20.000 ლარად, ხოლო შემთხვევის დადგომისას ზარალის დანარჩენი ნაწილის ანაზღაურებას კისრულობს თვით დაზარალებული ან სხვა პირი, რაც იქნება გათვალისწინებული ხელშეკრულების მიხედვით.

საუბარი იყო იმის თაობაზე უნდა იყოს თუ არა ქონების დაზღვევა სავალდებულო. საქართველოს პირობებში, როდესაც ადამიანი ფლობს დიდი ღირებულების ქონებას, ხოლო მისი ლიკვიდური სახსრები იმდენად დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმსაც შეუძლებელია დაავალდებულო ადამიანი დააზღვიოს თავისი ქონება. ასეთ სიტუაციაში მოსახლეობისათვის ასევე პრობლემაა ნებაყოფლობითი დაზღვევა. საქართველოში შემოსავლების დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნას დაზღვევის პროდუქტზე ამაზე მიუთითებს ციფრობრივი მაჩვენებლებიც. 1997 წელს საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემიები ერთ სულ მოსახლეზე წარმოადგენდა დაახლოებით 1,12 ლარს. ეს კი სადაზღვევო სისტემის განვითარების უმთავრესი ბარიერია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დაზღვევის პროდუქტები, რომელზეც მოთხოვნა

არის, მაგრამ მიწოდება ვერ ხორციელდება. ფინანსური რისკების დაზღვევის ბაზარი საქართველოში დღესდღეობით აუთვისებელია. ცალკეული ბანკები თანახმა არიან და მოთხოვნას აყენებენ ბაზარზე, რათა დააზღვიონ თავიანთი ფინანსური რისკები, მაგრამ ქართულ სადაზღვევო კომპანიებს საკუთარი სახსრებით ჯერ-ჯერობით ვერ ძალუძთ უზრუნველყონ ასეთი დაზღვევის პროდუქტის მიწოდება. უცხოურ გადაზღვევი ორგანიზაციები კი არ თანხმდებიან ფინანსური რისკების გადაზღვევაზე. მათი აზრით საქართველოში არასტაბილური სიტუაციის გამო ფინანსური რისკების გადაზღვევა მათთვის არამომგებიანი იქნება. ამ დაზღვევის პროდუქტზე საქართველოში რისკის დონე ჯერ კიდევ არ არის შეფასებული.

**დაზღვევის პროდუქტზე მოთხოვნის არასაკმარისი დონე სადაზღვევო სისტემის განვითარების უმთავრესი ბარიერია.**

ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი საშუალება იქნება. რადგან უცხოელ ინვესტორებს შესაძლებლობა ექნებათ დააზღვიონ საქართველოში დაბანდებული ყოველგვარი ინვესტიცია, რაც ხელს შეუწყობს უცხოური კაპიტალდაბანდებების ზრდას. დეპოზიტების დაზღვევა საშუალებას მისცემს საქართველოს მოსახლეობას უშიშრად შეიტანონ ანაბრები ბანკებში.

**ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარებას ხელს უშლის საქართველოში არასტაბილური სიტუაცია.**

დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა. ამერიკაში შექმნილი იყო „დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია“. ამ ორგანიზაციაში შედიოდა ფედერალური სარეზერვო სისტემის ყველა ბანკი, ხოლო დანარჩენი კომერციული და საშემნახველო ბანკი სურვილის მიხედვით. „დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია“-ში შესატანი განაკვეთი წარმოადგენდა ერთმეთორმეტედ ნაწილს საერთო საბანკო დეპოზიტების თითოეული პროცენტიდან. ასევე „დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია“ აზღვევს ნებისმიერ ბანკში კერძო პირის ან ფირმის დეპოზიტს 100.000 აშშ დოლარამდე. „დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია“-ის გარდა დეპოზიტების დაზღვევას ახდენდა „სახესხო“-საშემნახველო ასოციაციების და „ზღვევის ფედერალური კორპორაცია“ და „საკრედიტო კავშირების დაზღვევის ეროვნული ფონდი“, რომლებიც დეპოზიტების დაზღვევის

99%-ს ახორციელებდნენ. დღესდღეობით მათ ბაზაზე შექმნილია სპეციალიზირებული ცალკეული სადაზღვევო ფონდები.

საქართველოში ამ პრაქტიკის გამოყენებით შეიძლება ეროვნულ ბანკთან შეიქმნას დეპოზიტების დამზღვევი ორგანიზაცია, ან ცენტრალურმა ბანკმა ხელი შეუწყოს კერძო სადაზღვევო კომპანიების ბაზაზე შეიქმნას დეპოზიტების და სხვა ფინანსური რისკების დამზღვევი ორგანიზაციები. ეს საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკს იმ ბანკებზე კონტროლის გაუმჯობესებას, რომელთა დეპოზიტები დაზღვეული იქნება.

დეპოზიტების დაზღვევის განვითარება ხელს შეუწყობს ბანკებში სახსრების მოზიდვას, რაც გამომწვეული იქნება ბანკებისადმი მეტი ნდობით. ეს თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს საბანკო სისტემის განვითარებაზე.

საქართველოში სადაზღვევო სისტემის განვითარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მოსახლეობაში დარჩენილი უნდობლობა ძველი დაზღვევის სისტემის მიმართ. მოქალაქეებმა რომლებმაც დაკარგეს თავიანთი სახსრები, შეტანილი ძველი „დაზღვევის სახელმწიფო კომპანიაში“ უნდობლად უყურებენ ყოველგვარ დაზღვევას.

**დაპოზიტების დაზღვევა ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის განვითარებას.**

საქართველოს სადაზღვევო სისტემის სხვა პრობლემებს ემატება ინფორმაციის არასაკმაირისი დონე. ინფორმაციის არ არსებობა იწვევს სადაზღვევო პროდუქტის გაძვირებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს სიტუაციის არა რეალური შეფასების გამო, მაშინდელ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით სადაზღვევო კომპანიებს უჭირთ დაზღვევის განხორციელება, ამიტომ საჭიროა ახალი ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამ მხრივ მუშაობს საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, რომელიც ევრაზიის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს სადაზღვევო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნას. დღესდღეობით ეს ასოციაცია მუშაობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სექტორით დაზიანების დაზღვევის მონაცემთა ბაზაზე, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა დღესდღეობით საქართველოში, რადგან სოფლის მეურნეობაში მაღალი რისკია და დაზღვევა თითქმის არ ხორციელდება ინფორმაციის არ არსებობის გამო.

**სადაზღვევო სისტემის კიდევ ერთი პრობლემა არის მოსახლეობაში დარჩენილი უნდობლობა.**

„დაზღვევის შესახებ“ კანონის საფუძველზე ზედამხედველობის სამსახურის შექმნა ერთ-ერთი უმთავრესი და აუცილებელი პირობა იყო საქართველოს სადაზღვევო სისტემის სრულყოფისათვის. ამ სამსახურის შექმნით საქართველოში პირველად გაჩნდა დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი, დაზღვევის ურთიერთობების მარეგულირებელი და საზედამხედველო დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაცია. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ლიცენზიების გაცემისა და შემდეგი ზედამხედველობის შედეგად ამ სისტემის კონტროლი.

**ინფორმაციის არა საკმარისი დონე იწვევს სადაზღვევო პროდუქტის გაძვირებას, რაც აწვირებს სადაზღვევო სისტემის განვითარებას.**

საქართველოში რეფორმის დაწყებამდე მოქმედებდა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შემდეგი სახეობები:

- ა) მგზავრთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა;
- ბ) სანარმოებისა და ორგანიზაციების (ბიუჯეტზე მყოფთა გარდა) ხარჯზე უბედური შემთხვევებისაგან მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა;
- გ) სახელმწიფო სანარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა;
- დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა;

ე) საცხოვრებელი სახლებისა და ბინების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა;

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითოეული სავალდებულო დაზღვევა მონოპოლიზირებული იყო სახელმწიფოს ხელში. არ არსებობდა გადაზღვევის ინსტიტუტი, რის გამოც დაზღვევის რიგი სახეობები ეკონომიკურად არაეფექტური იყო. მაგალითად სასოფლო-სამეურნეო რისკებისა და ქონების დაზღვევა. ცენტრალური სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სისტემა სუბსიდის სახით ყოველწლიურად იღებდა რამდენიმე მილიონ მანეთს ხარჯების ასანაზღაურებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ 80-იანი წლების დასასრულს დაწყებული გარდაქმნის პროცესი ნაწილობრივ დაზღვევის სფეროსაც შეეხო. იქმნება პირველი ქართული სადაზღვევო კომპანიები „ალდაგი“, „გავაზი“, „კავკასიის სადაზღვევო კომპანია“, „აგორა“ და სხვა. ამ კომპანიების მუშაობის სფეროს წარმოადგენდა ქონების დაზღვევა, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა (ამ უკანასკნელის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა სადაზღვევო

კომპანიას „ალდაგი“) ამ პერიოდში ჩნდება დაზღვევის ახალი პროდუქტი სამედიცინო დაზღვევა.

დღესდღეობით გაუქმდა ის სავალდებულო დაზღვევა, რომელიც ექსკლუზიური ხასითისა იყო. რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს სადაზღვევო სისტემა (იხ. ცხრილი №1), რომელიც იყოფა ორ ძირითად შემადგენელ ნაწილად:

- სახელმწიფო სოციალური დაზღვევა;
- არასახელმწიფო დაზღვევა.

„დაზღვევის შესახებ“ და „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონების მიღებამ მნიშვნელოვნად აამაღლა სადაზღვევო ორგანიზაციების და ქართველი ინვესტორების დაინტერესება სადაზღვევო ბიზნესით. გრაფიკზე №1 ნათლად ჩანს თუ როგორ ვითარდებოდა საქართველოს სადაზღვევო ბაზარი. 1989-1991 წლებთან შედარებით 1997 წელს სადაზღვევო ორგანიზაციათა რაოდენობა 23-მდე გაიზარდა, ხოლო დღესდღეობით კი 30-ს მიაღწია (იხ. ცხრილი №3). თუმცა დროთა განმავლობაში ასეთი სწრაფი ზრდა შემცირდება და ორგანიზაციათა რაოდენობა სტაბილური გახდება, რადგან მოსალოდნელია მინიმალური სანესდებო კაპიტალის ოდენობასა და ფლობაზე ნორმატიული მოთხოვნების გამკაცრება. დღეისათვის მინიმალური სანესდებო კაპიტალის ოდენობა დაზღვევის სახეობების მიხედვით მერყეობს 30-60 ათასი ლარის ფარგლებში (იხ. ცხრილი №2).\*

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრით დაინტერესდნენ მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი სადაზღვევო, საბროკერო და გადამზღვევი ორგანიზაციები. უკვე დაარსდა რამდენიმე ერთობლივი ორგანიზაცია — საბროკერო კომპანია „Sedgwick-Georgia“, სადაზღვევო კომპანიები „თბილისი-London“ და „Imedi-L International“. \*\*

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სადაზღვევო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება. საბიუჯეტო ორგანიზაციებს აეკრძალათ სადაზღვევო ორგანიზაციების დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციებში დამფუძნებლად ყოფნა. 1998 წლის ივნისის მონაცემებით საქართველოში ლიცენზირებულია და მუშაობს 30 სადაზღვევო ორგანიზაცია (ცხრილი №3). აქედან 2 არის სადაზღვევო-საბროკერო ორგანიზაცია.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულია

\* წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №1 „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირების წესები.“

\*\* წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

105 ლიცენზია, მათ შორის 103 — სადაზღვევო საქმიანობის და 2 — სადაზღვევო-საბროკერო საქმიანობის განხორციელებაზე.

დაზღვევის სახეობების მიხედვით სადაზღვევო ორგანიზაციების დაინტერესება ბაზრის ამა თუ იმ სექტორით შემდეგნაირად იქნა განაწილებული:

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევი“ — ს განხორციელებაზე გაიცა 23 ლიცენზია;

„უბედური შემთხვევებისაგან და ავდემყოფობისაგან დაზღვევა“ — 16;

„ტვირთების დაზღვევა“ — 13;

„ქონების დაზღვევა“ — 7;

„სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა“ — 7

„გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“ — 6;

„საჰარეო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა“ — 5;

„საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა“ — 3;

„სამედიცინო დაზღვევა“ — 3;

„სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“ — 3;

„პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა“ — 3;

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევა“ — 3;

„სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის დაზღვევა“ — 2;

„სამრეწველო და კომერციული საწარმოების ხანძრისა და სხვა საშიშროებისაგან დაზღვევა“ — 2;

„სიცოცხლის დაზღვევა“ — 2;

„დაზღვევის სფეროში საბროკერო საქმიანობა“ — 2;

„ვალდებულებათა შეუსრულებლობის პასუხისმგებლობის დაზღვევა“ — 1;

„იურიდიული და ფიზიკური პირების დაზღვევა“ — 1;

„მოქალაქეთა კუთვნილი შენობების დაზღვევა“ — 1;

„საოჯახო ქონების დაზღვევა“ — 1;

საპენსიო დაზღვევა (დამატებითი შემოსავლების დაზღვევა) — 1.

1997 წელს საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემიები წარმოადგენდა 5.624.300 ლარს, რაც ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით წარმოადგენს 1,12 ლარს. ეს უჩვენებს სადაზღვევო ბაზრის განვითარების დაბალ დონეს. ევროპაში ეს მაჩვენებელი რამდენიმე ათას ლარს აღწევს. გადაზღვევაზე გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 1.614.793 ლარი, ანუ მთლიანი ჯამური პრემიის მხოლოდ 28%.

სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ აღებული რიკის შესაბამისად 1997 წლის განმავლობაში ანაზღაურებულია 1.244.368



ლარი, საიდანაც უშუალოდ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მიერ გადახდილია 960.471 ლარი; ე.ი. მთლიანად ანაზრაურებულ ზარალში გადამზღვეველთა ხვედრითი წილი

განხორციელება დაიწყო 1997 წლის 1 სექტემბრიდან და უკვე 1998 წლის 1 იანვრისათვის კომპანიების მიერ მიღებულმა ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ დაზღვევის ამ სახეობაში შეადგინა 1.002.483 ლარი. ამ პერიოდისათვის ათვისებული იყო ბაზრის მხოლოდ 10%. ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1997 წლის ოქტომბერში ბაზრის 75,4%-ს ფლობდა კომპანია „ქართული

**1997 წელს საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემიები ერთ სულ მოსახლეზე წარმოადგინდა დაახლოებით 1,12 ლარს.**

მხოლოდ 23%-ია, ხოლო ქართული სადაზღვევო კომპანიების ხვედრითი წილი — 77%.

გრაფიკზე №2 თვალნათლივ ჩანს, რომ მოზიდული პრემიის მიხედვით 1998 წლის 1 იანვრისათვის ბაზრის 85%-ს აკონტროლებდა ოთხი კომპანია და მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად იყო განაწილებული:

- „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა“ — 34%;
- „კრწანისი“ — 22%;
- „ალდაგი“ — 15%;
- „ქართული დაზღვევა“ — 13%;
- დანარჩენი 13 კომპანია ფლობდა ბაზრის მხოლოდ 16%-ს.

ქართული სადაზღვევო კომპანიების შემოსავლები დაზღვევის სახეობების მიხედვით 1998 წლის 1 იანვრისათვის (იხ. დანართი №3) შემდეგნაირად განაწილდა:

- „უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა“ — 34%;
- „ქონების დაზღვევა“ — 32%;
- „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“ — 18%;
- „ტვირთების დაზღვევა“ — 5%;
- „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა“ — 4%.

საპროგნოზო მონაცემებით, 1998 წლისათვის საქართველოს სადაზღვევო ბაზრის შემოსავლების სტრუქტურაში მოსალოდნელია შემდეგი ცვლილებები, კერძოდ ტვირთების დაზღვევის, საჰაერო-სატრანსპორტო და საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ხვედრითი წილის ზრდა. 1998 წლის განმავლობაში „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა“ — ში სადაზღვევო კომპანიების შემოსავლები დინამიურად გაიზრდება და წლის ბოლოსათვის 50%-ს შეადგენს. სავალდებულო დაზღვევის ეს სახეობა ხორციელდება „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონის საფუძველზე.

ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის განხორციელების ლიცენზია, როგორც ვთქვით მიღებული აქვს 23 სადაზღვევო კომპანიას. დაზღვევის ამ სახეობის

დაზღვევა“. 1998 წლის 1 იანვრისათვის კი ეს მაჩვენებელი შემცირდა 71%-მდე (იხ. ცხრილი №4). ეს ტენდენცია თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე მომუშავე სადაზღვევო კომპანიებს შორის ყალიბდება ჯანსაღი კონკურენცია, რაც თავის მხრივ, ბაზრის წარმატებული განვითარების საწინდარია.

ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შედარებით მომგებიანი საქმიანობაა სადაზღვევო კომპანიებისათვის, ამიტომაც ყველაზე მეტი ლიცენზია დაზღვევის ამ სახეობაზე არის მიღებული. მასზე მოქმედებს ის ფაქტორიც, რომ სატრანსპორტო შემთხვევებისას დაზარალებულის მცირე დაზიანების დროს ავტომფლობელები ცდილობენ საგზაო პოლიციის ჩაურევლად მოაგვარონ საქმეები. ასეთ სიტუაციაში ისინი ზარალს თვითონ ანაზრაურებენ და არ მიმართავენ სადაზღვევო კომპანიებს. ამის გამო ზოგიერთ კომპანიას, რომელიც თითქმის ერთი წელიწადია ფუნქციონირებს დაზღვევის ამ სახეობით შემოსავალი 60.000 ლარამდე აქვს ზარალი არ აუნაზრაურებიათ, რადგან მოთხოვნა არავის არ წარუყენებია.

1998 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით (სულ ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილი აქვს 19 სადაზღვევო კომპანიას) სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემია შეადგენს 1 264 664 ლარს (იხ. გრაფიკი №6), მათ შორის გადაზღვევაზე გადარიცხული პრემია შეადგენს 284 560 ლარს ანუ ჯამური პრემიის 22,5%-ს, კომპანიებში დარჩენილი პრემია კი 980 104 ლარს ანუ ჯამური პრემიის 77,5%-ს. 1998 წლის პირველ კვარტალში სადაზღვევო კომპანიების მიერ მთლიანად ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა 335 839 ლარი, მათ შორის გადაზღვევის გამოკლებით 17 250 ლარი. როგორც გრაფიკზე №5 ჩანს გადაზღვევაზე გადარიცხული თანხა 1998 წლის I კვარტალში 1997 წელთან შედარებით პროცენტულად მცირდება, ხოლო უცხოური კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი იზრდება 23%-იდან 95%-მდე.

სადაზღვევო კომპანიების მიერ 1998 წლის პირველ კვარტალში მოზიდული ჯამური პრემიის (1 264 664 ლარი) ძირითადი ნაწილი მოდის ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო

დაზღვევაზე და სიცოცხლის დაზღვევაზე, შესაბამისად 40,6% და 20,7%. დაზღვევის თექვსმეტი სახეობიდან სამში — ერთწლიანი სასოფლო სამეურნეო მარცვლეულ-კულტურების, სამედიცინო და ტურისტების დაზღვევა არ განხორციელებულა.

ზედამხედველობის სამმართველო არის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ამოცანაა სადაზღვევო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება და სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ „დაზღვევის შე-სახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

ზედამხედველობის სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „დაზღვევის შესახებ“ კანონით, მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და განკარგულებით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულებით და პასუხისმგებელია დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

ზედამხედველობის სამმართველოში სისტემატიურად ტარდება სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ განეული მუშაობის ანალიზი წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით.

ზედამხედველობის სამმართველომ ჩაატარა შემონეება სადაზღვევო ორგანიზაციების სანესდებო კაპიტალის რაოდენობის დადგენის მიზნით. შემონეებით დადგენილია, რომ სადაზღვევო კომპანია „ნიამ“, რომლის სანესდებო კაპიტალი შეადგენს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარს, 1997 წლის 16 დეკემბრის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ერთი პირის სანარმოს „გიგის“ გაუნაღდა ნაღდი ანგარიშსწორებით 1850 ლარი სადაზღვევო პოლისების დაბეჭვდაზე, რითაც დაარღვია „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო სქმიანობის ლიცენზირების წესების“ 21-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სადაზღვევო კომპანია ვალდებული იყო სანესდებო კაპიტალის თანხების გახარჯვის თაობაზე ეცნობებინა 7 დღის განმავლობაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის.

აღნიშნული დარღვევის თაობაზე სადაზღვევო კომპანია „ნიამ“ გაფრთხილებულ იქნა 1998 წლის 20 მარტის №10/5 წერილით.

სადაზღვევო კომპანია „ორიონ-გარანტი“ ჩატარებული შემონეებით დადგინდა, რომ სანესდებო კაპიტალი, რომელიც ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრაციისათვის 1997 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით განსაზღვრულ იქნა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით და რომელიც შევსებული იქნა დამფუძნებლების მიერ მთლიანად, გახარჯულია და 1998 წლის 10 მარტის მდგომარეობით ნაშთად ირიცხებოდა 160 (ასამოცი) ლარი.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

ზედამხედველობის სამსახურის მიერ 1998 წლის 17 მარტის №8 ბრძანების საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება ლიცენზირების შეჩერების შესახებ 1998 წლის 20 მაისამდე, რის შესახებაც ეცნობა სადაზღვევო კომპანია „ორიონ-გარანტი“ (1998 წლის 20 მარტის №10/04 წერილი).

ლიცენზირების შეჩერებასთან დაკავშირებით სამმართველოს მიერ სამსახურის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი სადაზღვევო კომპანია „ორიონ-გარანტი“ განხორციელებული სადაზღვევო საქმიანობის დოკუმენტური შემონეების თაობაზე, ლიცენზირების შეჩერებამდე დადებული მოქმედი ხელშეკრულების საფუძველზე არსებული სადაზღვევო ვალდებულებების ოდენობის დადგენის მიზნით, რის შესახებაც სამსახურის უფროსის მიერ გამოცემულია 1998 წლის 17 მარტის №07/მ ბრძანება, რაც დღეის მდგომარეობით შესრულებულია და დოკუმენტური შემონეების შედეგებზე კოლეგიას მასალები წარედგინება დამატებით.

1998 წლის 2 თებერვალს ზედამხედველობის სამმართველოს განცხადებით მიმართა შპს „რიონის“ დირექტორმა ნ. მსხვილაძემ, რომელიც ითხოვდა ლიცენზირების გაუქმებას. შემონეების შედეგად დადგინდა, რომ სადაზღვევო კომპანიას არანიაარი საქმიანობა არ უწარმოებია და ვალდებულებები არა აქვს აღებული. შემონეების მასალების საფუძველზე გაუქმებული იქნა შპს „რიონის“ ლიცენზია და აღნიშნულზე ეცნობა ყველა სათანადო ორგანოს.

ზედამხედველობის სამმართველომ სააქციო საზოგადოება „პირველ საპენსიო ფონდში“ ჩატარებული დოკუმენტური შემონეებით გამოავლინა, რომ სააქციო საზოგადოების მიერ საანგარიშო პერიოდში მოქალაქეებისაგან მოზიდული იქნა 8832 საპრივატიზაციო ბარათი (ვაუჩერი) „დამატებით პენსიის დაზღვევის“ პოლისებზე გაცვლის გზით. მოზიდული 8832 ცალი ვაუჩერიდან 7854 ვაუჩერით შეძენილია 18 საპრივატიზაციო სააქციო საზოგადოების 106 942 ცალი უბრალო სახელობითი აქცია, რომელთა საერთო ნომინალური ღირებულება შეადგენს 111 163 აშშ დოლარის ექვივალენტს.

სააქციო საზოგადოება „პირველი საპენსიო ფონდის“ ზემოთაღნიშნული საქმიანობა, რაც გამოიხატება მოსახლეობიდან საპრივატიზაციო ბარათების მოზიდვაში, როგორც რეგისტრაციის დროს სასამართლოს გადწყვეტილებით, ასევე ზედამხედველობის სამსახურის 1997 წლის 9 ოქტომბრის №03/8 წერილის პასუხად საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს „სპეციალიზირებული საინვესტიციო ფონდების ლიცენზირების შესახებ“ 1997 წლის 24 ოქტომბრის №06-609/67 განმარტებითი წერილით, საჭიროებდა სათანადო ლიცენზირებას. ასეთი ლიცენზია სს „პირველ საპენსიო ფონდს“ არ გააჩნია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სააქციო საზოგადოება „პირველი საპენსიო ფონდის“ საქმიანობა საპრივატიზაციო ბარათების მოზიდვის სახით განხორციელებული იყო ულიცენზიოდ და მის ამ ქმედებაზე რეაგირება სცილდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას, მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და საქართველოს საგადასახადო ინსპექციას.

სააქციო სადაზღვევო საზოგადოება „ცენტრალური სადაზღვევო კომპანიის“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის სატრანსპორტო სადაზღვევო საზოგადოება „იმედის“ სარკინიგზო ტრანსპორტის მგზავრთა ერთობლივი ნებაყოფლობითი დაზღვევის განხორციელების სისწორის შემოწმებისას გამოვლინდა, რომ მათ მიერ სარკინიგზო მგზავრთა დაზღვევისას დაშვებულია სადაზღვევო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 1998 წლის 17 მარტის №9 ბრძანებით სააქციო სადაზღვევო საზოგადოება „ცენტრალური სადაზღვევო კომპანიას“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის სატრანსპორტო სადაზღვევო საზოგადოება „იმედს“ დაევალებათ გააუქმონ სარკინიგზო ტრანსპორტის მგზავრთა დაზღვევის ერთობლივი პოლისი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამასთანავე, აეკრძალათ სარკინიგზო ტრანსპორტის მგზავრთა დაზღვევის განხორციელება ერთობლივი პოლისით. აღნიშნულზე ეცნობათ საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურს, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტს.


სააქციო სადაზღვევო საზოგადოება „ცენტრალურ სადაზღვევო კომპანიაში“

დოკუმენტური შემოწმებით დადგენილია, რომ კომპანიას მ/წლის 7 აპრილის მდგომარეობით ანგარიშსწორების ანგარიშზე ერიცხებოდა 9 027 ლარი, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებებით მოზიდულ პრემიას. რაც შეეხება სანესდებო კაპიტალს (ფულადი ფორმით), რომელიც სააქციო საზოგადოებისათვის განსაზღვრულია 32 ათასი ლარის ოდენობით და რომელიც კომპანიის მიერ განმეორებით შევსებული იქნა 1998 წლის 16 თებერვალს. გაირკვა, რომ თანხის ანგარიშზე შეტანიდან მეორე დღეს ანუ 17 თებერვალს თანხა გამოტანილია ნაღდი ანგარიშსწორებით და იგი საქვეანგარიშოდ ერიცხება კომპანიის გენერალურ დირექტორს.


აღნიშნული ფაქტის გამოვლენისთანავე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის სახელზე გაკეთდა მოხსენებითი ბარათი, რის საფუძველზეც სამსახურის უფროსის ა/წლის 13 აპრილის №10/12 და №10/13 წერილებით გაფრთხილებული იქნენ კომპანიის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო, სანესდებო კაპიტალის დაუყოვნებლივ შევსების შესახებ.

სააქციო სადაზღვევო საზოგადოება „ცენტრალურ სადაზღვევო კომპანიაში“ დღეის მდგომარეობით დოკუმენტური შემოწმება დამთავრებულია და მისი შედეგები კოლეგიას წარედგინება დამატებით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელთა წევრები არიან სადაზღვევო კომპანიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები. ჯერ-ჯერობით ეს საბჭო არ ფუნქციონირებს, მაგრამ თანამშრომლობა მაინც მიმდინარეობს. მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა და საქართველოს სადაზღვევო ასოციაციას.



გრაფიკი №1



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მინიმალური სანესდებო კაპიტალი დაზღვევის  
სახეობების მიხედვით

№	დაზღვევის სახეობები	მინიმალური სანესდებო კაპიტალი (ლარებში)
1.	სიცოცხლის დაზღვევა	50.000
2.	საპენსიო დაზღვევა (დამატებითი შემოსავლების დაზღვევა)	
3.	ფინანსური რისკების დაზღვევა	40.000
4.	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	
5.	გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	
6.	პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	
7.	ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა	
8.	სხვა სახეობების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	
9.	უბედური შემთხვევებისაგან და ავდმყოფობისაგან დაზღვევა	30.000
10.	სამედიცინო დაზღვევა	
11.	სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	
12.	საჰარეო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	
13.	საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	
14.	ტვირთების დაზღვევა	
15.	ყველა სხვა სახეობების დაზღვევა გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ბოლო ოთხი სახეობისა	
16.	გადაზღვევა	60.000

ლიცენზირებულ ორგანიზაციათა რეესტრი


სადაზღვევო კომპანია	დაზღვევის სახეობა
შპს „ქართული დაზღვევა“	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა
შპს „თიბ გარანტი“	ა) ერთნობიანი სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულ კულტურათა მოსავლის დაზღვევა; ბ) სამრეწველო და კომერციული საწარმოების ცეცხლისა და სხვა საშიშროებისაგან დაზღვევა; გ) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; დ) ტვირთების დაზღვევა; ე) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;
სს „ალდაგი“	ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; ბ) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; გ) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; დ) გადაამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; ე) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; ვ) ქონების დაზღვევა; ზ) სამედიცინო დაზღვევა; თ) ტვირთების დაზღვევა; ი) სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; კ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა; ლ) სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა.
„შელიოსი“	ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; ბ) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; გ) ტვირთების დაზღვევა; დ) ქონების დაზღვევა; ე) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა.
„მადლი“	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;
„ჩ & ჰიგია“	ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; ბ) საპენსიო დაზღვევა; (დამატებითი შემოსავლების დაზღვევა) გ) ტვირთების დაზღვევა.
„ცენტრალური სადაზღვევო კომპანია“	ა) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; ბ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; გ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.
„კარგო“	ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; ბ) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; გ) ტვირთების დაზღვევა; დ) ქონების დაზღვევა; ე) სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; ვ) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; ზ) სიცოცხლის დაზღვევა; თ) გადაამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
„ჯანი“	ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; ბ) სამედიცინო დაზღვევა;
„სოლო და კომპანია“	ა) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; ბ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; გ) ქონების დაზღვევა; დ) გადაამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
„კრწანისი“	უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა
„ფენიქსი“	ა) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; ბ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;

<p>„საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა“</p>	<p>ა) სიცოცხლის დაზღვევა;  ბ) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა;  გ) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;  დ) ტვირთების დაზღვევა;  ე) ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევა;  ვ) მოქალაქეთა კუთვნილი შენობების დაზღვევა;  ზ) საოჯახო ქონების დაზღვევა;  თ) ცეცხლისა და სხვა საშიშროებისაგან საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონების დაზღვევა;  ი) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;  კ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა;</p>
<p>„ნია“</p>	<p>ა) ტვირთების დაზღვევა;  ბ) იურიდიული და ფიზიკური პირების დაზღვევა;  გ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;</p>
<p>საბროკერო ფირმა, ბრიტანული შპს „სეფვიკ-ჯორჯია“-ს ფილიალი</p>	<p>საბროკერო საქმიანობა დაზღვევის სფეროში</p>
<p>„მარშალი“</p>	<p>ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;  ბ) ქონების დაზღვევა;</p>
<p>„ქართი“</p>	<p>ა) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;  ბ) გადაამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;</p>
<p>„კანუდოსი“</p>	<p>ა) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა;  ბ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;  გ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;  დ) ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა;</p>
<p>„არესი“</p>	<p>ა) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;  ბ) ტვირთების დაზღვევა;</p>
<p>„GV“</p>	<p>უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა;</p>
<p>„იმედი international“</p>	<p>ა) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა;  ბ) ტვირთების დაზღვევა;  გ) ქონების დაზღვევა;  დ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;  ე) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;  ვ) გადაამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;  ზ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა;  თ) სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;  ი) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;</p>

„კარგო“	ა) უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; ბ) ტვირთების დაზღვევა; გ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;
„საქართველოს სადაზღვევო კომპანია“	ა) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; ბ) ტვირთების დაზღვევა;
„ჯი-აი-აი“	საბროკერო საქმიანობა დაზღვევის სფეროში
„იბერია“	ა) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; ბ) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; გ) ქონების დაზღვევა; დ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;
„დ.გ.ზ. კომპანი“	უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა;
„ანგლო-ქართული სადაზღვევო კომპანია“	ა) სიცოცხლის დაზღვევა; ბ) უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; გ) სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; დ) საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; ე) საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; ვ) ტვირთების დაზღვევა; ზ) ქონების დაზღვევა; თ) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; ი) ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა; კ) გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; ლ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა; მ) სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
„სანატო“	სამედიცინო დაზღვევა
„ერი“	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;
„იმერეთი“	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;


გრაფიკი №2

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ხვედრითი წილი ბაზარზე მოზიდული პრემიის მიხედვით




წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური






წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

გრაფიკი №5


მოზიდული სახსრები და ანაზღაურებული ზარალი უცხოური და ქართული სადაზღვევო კომპანიების მიხედვით



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

გრაფიკი №6

1998 წლის პირველ კვარტალში მოზიდული სახსრები და ანაზღაურებული ზარალი



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური